პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური
საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Министерства здравоохранения ГССР
и Грузинского Республиканского Совета
профсоюзов

გამოცემის მე-10 წელი

№ 79 (678) | ოთხშაბათი, 7 ოქტომბერი, 1953 წ. | ფასი 30 კაპ.

ტანვარჯიში—მაღალ საფეხურზე

ტანვარჯიში სპორტის ულამაზესი სახეობაა. მან თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია საბჭოთა კავშირში. ჩვენი სამშობლოს ტანმოვარჯიშე ქალებმა და ვაჟებმა XV ოლიმპიურ თამაშებში მსოფლიოში უძლიერესთა სახელი დაიმსახურეს, ოქროს მედლები მოიპოვეს და თავიანთი მაღალი ოსტატობით საბჭოთა ხალხი ასახელეს.

იყო დრო, როცა საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ქვეყანას უწოდებდნენ. აქ აღიზარდნენ საბჭოთა კავშირის ორგზის აბსოლუტური ჩემპიონი გ. რცხილაძე, საბჭოთა კავშირში სახელმოხვეჭილი ტანმოვარჯიშეები ზაპიროძე, ჯორჯაძე, თაყაიშვილი, ჯულელი და ბევრი კიდევ სხვა. საქართველოს ტანმოვარჯიშეთა გუნდი საკავშირო შეჯიბრებებში წარმატებით გამოდიოდა. შეუნელებელი ტემპით იზრდებოდა ახალი თაობა, რომელიც თამამად მიდიოდა მოწინავეთა მხარდამხარ.

ჩვენს რესპუბლიკაში ახლაც არიან ძლიერი ტანმოვარჯიშეები, იზრდება მომავალი თაობა, მაგრამ არსებული მდგომარეობა ოდნავაც ვერ უპასუხებს იმ ამოცანას, რასაც ჩვენი პარტია და მთავრობა სახავენ ტანმოვარჯიშეების წინაშე. თუ გადავხედავთ გასული წლის შედეგებს, დავრწმუნდებით, რომ საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდი არ არის ისეთი ძლიერი როგორიც 1947 წელს იყო, როცა მან მეორე ადგილი დაიკავა. გასულ წელს ჩვენი ტანმოვარჯიშეების მიერ მოპოვებული მე-5 ადგილი ერთხელ კიდევ იმაზე მეტყველებს, რომ ყველაფერი რიგზე არა გვაქვს.

როდესაც საქართველოში ტანვარჯიშის განვითარებაზე ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე სპორტის ამ სახეობის მდგომარეობა რაიონებში. სამწუხაროდ, რესპუბლიკაში დღემდე არის ისეთი რაიონები, რომლებსაც სრულებით არ მიუღიათ მონაწილეობა საქართველოს პირველობაში. გურჯაანის რაიონი მეხუთე წელიწადია რაც შეჯიბრებაში არ მონაწილეობს. რატომ ხდება ეს? პასუხი ადვილი გასაცემია: იმიტომ, რომ გურჯაანში ტანვარჯიშის განვითარებისათვის არაფერი კეთდება. ასეთი მაგალითის მოყვანა კიდევ შეიძლება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ტანვარჯიშს ამჟამად სპორტის სხვა სახეობებმა გაუსწრეს. და ეს მოხდა იმიტომ, რომ ჩვენ შევანელეთ ყურადღება ტანვარჯიშისადმი. ამაში, რასაკვირველია, დიდი ბრალი მიუძღვით სპორტულ საზოგადოებებს. მიმდინარე წლის სეზონში სისტემატურად ეწყობოდა შეჯიბრებები სპორტის ყველა სახეობაში გარდა ტანვარჯიშისა. ძალიან ცუდ მდგომარეობაშია რესპუბლიკაში არსებული სპორტული ბაზები. ბევრ ადგილას არის სპორტული ბაზა, მაგრამ იარაღი არ გააჩნია, ხოლო თუ არის შესაკეთებელია და ამაზე არავინ ზრუნავს.

რესპუბლიკაში არის ორი ორგანიზაცია, რომელიც ტანვარჯიშულ იარაღებს ამზადებს — „დინამოს" სპორტული იარაღების ქარხანა და არტელი „სპორტი". ორივე ორგანიზაცია იარაღებს უშვებს მცირე რაოდენობითა და დაბალი ხარისხისას. გარდა ამისა, ამ ორგანიზაციებთან არ არის შექმნილი შემკეთებელი ბრიგადები, ამიტომ იარაღი, რომელიც შეკეთებას მოითხოვს ფაქტიურად უკვე მწყობრიდანაა გამოსული.

საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს მწვრთნელთა შემადგენლობას. ჩვენ გვყავნან მაღალკვალიფიციური მწვრთნელები, რომლებმაც არა ერთი და ორი მოწინავე ოსტატი აღზარდეს. საჭიროა მათი გამოცდილების განზოგადება, მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სემინარების მოწყობა, დაუღალავი ზრუნვა წვრთნის მეთოდებში სიახლის შეტანაზე.

ჩვენს რესპუბლიკაში ტანვარჯიშმა წარსული სახელი უნდა დაიბრუნოს. საჭიროა აღვზარდოთ ახალი რცხილაძეები, რომლებიც კვლავ შეძლებენ ასახელონ რესპუბლიკა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში.

რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში დაიწყება რესპუბლიკის პირველობა ტანვარჯიშში. მონაწილეებმა უნდა ეცადონ, რათა მთლიანად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობა. შეჯიბრება უნდა ჩატარდეს მაღალი სპორტული მაჩვენებლებით, რომ საკავშირო პირველობაზე მომზადებული წარვდგეთ და წარმატებით ვიბრძოლოთ საპრიზო ადგილისათვის.

☆

საერთაშორისო ტურნირი

მეთვრამეტე ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია ტურნირის ლიდერის სმისლოვის შეხვედრამ ეივესთან. პარტიის დასაწყისშივე სმისლოვმა შეწირა პაიკი და ხელთ იგდო ინიციატივა. შუა თამაშში მან კარგად გამოიყენა თეთრების ფიგურების პასიური განლაგება, მოიგო პაიკი და ლაზიერების გაცვლის შემდეგ პარტია გადადო დიდი უპირატესობით.

ბრონშტეინ-პეტროსიანისა და გლიგორიჩ-ნაიდორფის პარტიები დამთავრდა ყაიმით, დანარჩენი პარტიები გადაიდო.

მეცხრამეტე ტურში სმისლოვმა შავებით შტალბერგთან ადვილად გაათანაბრა მდგომარეობა და მალე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ყაიმით დამთავრდა საბო-რეშევსკის, ეივე-კერესისა და ავერბახ-ბრონშტეინის პარტიები. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

5 ოქტომბერს დამთავრდა გადადებული პარტიები. ბოლესლავსკი თამაშის განუახლებლად დანებდა გელერს, გლიგორიჩი—პეტროსიანს. ყაიმზე შეთანხმდნენ ტაიმანოვი და ნაიდორფი. სმისლოვმა მოიგო ეივეს. ყაიმით დამთავრდა გელერ-შტალბერგისა და კერეს-საბოს პარტიები.

ცხრამეტი ტურის შემდეგ წინ არის სმისლოვი, რომელსაც 12 ქულა აქვს, რეშევსკის — 11 ქულა, ბრონშტეინს — 10,5, ქულა, ნაიდორფს — 10 ქულა, კერესსა და პეტროსიანს — 9,5 ქულა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ვილჰელმ პიკს

ბერლინი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მეოთხე წლისთავთან დაკავშირებით მიიღეთ, ამხანაგო პრეზიდენტო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და პირადად ჩემი გულითადი მოლოცვა და სურვილი, რომ გერმანელმა ხალხმა წარმატებები მოიპოვოს ერთიანი მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული გერმანიის შექმნის გზაზე.

დაე იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

კ. ვოროშილოვი

1953 წლის 6 ოქტომბერი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ—მინისტრს ამხანაგ ოტო გროტევოლს

ბერლინი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მეოთხე წლისთავთან დაკავშირებით გთხოვთ თქვენ, პატივცემულო პრემიერ-მინისტრო და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მიიღოთ ჩემი მხურვალე მოლოცვა.

ოთხი წლის წინათ გერმანელი ხალხის მოწინავე პატრიოტულმა ძალებმა იკისრეს კეთილშობილური მისია — დაიცვან თავიანთი სამშობლოს ერთიანობა, თავისუფლება და დამოუკიდებლობა, უზრუნველყონ მისი განვითარება მშვიდობისა და დემოკრატიის გზით, სხვა ხალხებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის გზით. გერმანელი პატრიოტები სულ უფრო ღრმად იგნებენ, რომ აგრესიული წრეების მიერ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებისაკენ აღებული კურსი უდიდეს საფრთხეს უქმნის გერმანელ ერს და მიზნად ისახავს გერმანიის ერთიანი სახელმწიფოს ლიკვიდაციას, გერმანიის გადაქცევას მესამე მსოფლიო ომის კერად. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა გერმანელი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გამოხატულებაა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მშვიდობის მომხრე ყველა გერმანელის საიმედო დასაყრდენია.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის ისტორიულ აქტში შეხამებულია ინტერესები გერმანელი ხალხისა და ინტერესები ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხისა, რომლებიც ცდილობენ განამტკიცონ ევროპისა და საერთაშორისო უშიშროება. პროგრესულ კაცობრიობას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შემდგომი განმტკიცება მიაჩნია იმის დიდმნიშვნელოვან პირობად, რომ საბოლოოდ მოწესრიგდეს გერმანიის საკითხი მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებისათვის.

საბჭოთა ადამიანები წარმატებებს უსურვებენ გერმანელ ხალხს მისი ეროვნული ერთიანობის აღდგენისა და მშვიდობისმოყვარე გერმანიის სახელმწიფოს შექმნის საქმეში. ერთიანი, დამოუკიდებელი მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული გერმანიისათვის თავის სამართლიან ბრძოლაში გერმანელი ხალხი მუდამ ჰპოვებს საბჭოთა კავშირის ხალხთა თანაგრძნობასა და მხარდაჭერას.

გ. მალენკოვი

1953 წლის 6 ოქტომბერი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ამხანაგ ლოტარ ბოლცს

ბერლინი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მეოთხე წლისთავის გამო გთხოვთ თქვენ ამხანაგო მინისტრო, მიიღოთ ჩემი მეგობრული მოლოცვა.

მიიღეთ აგრეთვე ჩემი გულითადი სურვილი, რომ გერმანელმა ხალხმა მოიპოვოს წარმატებანი თავის ეროვნულ მისწრაფებათა განხორციელებაში, ერთიანი, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული გერმანიის სახელმწიფოს აღდგენის საქმეში, რაც შეესაბამება მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებს.

ვ. მოლოტოვი

1953 წლის 6 ოქტომბერი.

მთელი სისწრაფით

საქართველოს ველოსიპედისტთა ახალი რეკორდები

„სპარტაკის" საკავშირო პირველობა ველოსპორტში

თბილისის ტრეკი ამ დღეებში სპორტის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში იყო. მრავალრიცხოვანი მაყურებელი შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალს „სპარტაკის" უძლიერეს ველოსიპედისტთა საკავშირო ასპარეზობას. აქ იყვნენ სპორტსმენები მოსკოვიდან და კიევიდან, ტულიდან და ოდესიდან, მოსკოვის ოლქიდან, რიგიდან და თბილისიდან. მათ შორის საბჭოთა კავშირის 1953 წლის ჩემპიონები ვ. ძებნიაური და ა. ხაბურზანია, ცნობილი ველოსიპედისტები ვ. ჯონჯოლიანი (თბილისი), კოპტევა, მაქსიმოვა, რუდაკოვა (ყველა ტულიდან) კრასნიკოვი (მოსკოვი) და სხვ.

სპრინტერული რბოლა ერთ კილომეტრზე ველოსპორტის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო სახეობაა.

ძნელი გზა განვლო ვაჟთა ფინალში მოსახვედრად სპორტის ოსტატმა ვ. ჯონჯოლიანმა. მასთან ერთად საპატიო პირველი ადგილისათვის მებრძოლთა რიგებში იყვნენ ტულელი მისკოვი და კიეველი განგალსკი. გამარჯვება და მასთან „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა ჯონჯოლიანმა.

საინტერესო სპორტული ბრძოლით აღინიშნა ვაჟთა გიტი ადგილიდან ერთ კილომეტრზე. ტულელმა ცერიამ მანძილი დაფარა 1:20,0. დიდხანს ამ შედეგის გაუმჯობესება ვერ შეძლო ვერც ერთმა სპორტსმენმა. სტარტს იღებს თბილისელი ჯოხაძე. თავიდანვე ცხადი ხდება, რომ ჯოხაძე უკეთესად გადის დისტანციას. პირველ 85 მეტრზე ჯოხაძე ცერიას უგებს 0,8 წამს. მომდევნო წრეს ჯოხაძე გადის 16,2 წამში, ასეთსავე დროში ახერხებს იგი მეორე წრის გავლას. შემდეგი წრე ჯოხაძის მიერ დაძლეულია 17,5 წამში. ტემპი უკანასკნელ წრეზე ოდნავ კლებულობს — 18,5. დისტანცია ჯოხაძემ დაამთავრა —1:18,8. ეს შედეგი ჯერჯერობით საუკეთესოა. ტულელი კურაკოვის ცდა, გააუმჯობესოს შედეგი, უნაყოფოა. ჯოხაძეზე სუსტად გადიან დისტანციას კიეველი კორჟევანსკი, მოსკოველები კოვალიოვი და ივანოვი, ოდესელი ტიცა.

სტარტზეა სპორტის ოსტატი ჯონჯოლიანი. პირველ 85 მეტრს იგი გადის ისევე, როგორც ჯოხაძე — 10.0. დიქტორი აცხადებს პირველი წრის შედეგს — 16,2. ჯოხაძე და ჯონჯოლიანი ერთნაირი შედეგით არიან. მაგრამ აი მეორე წრეზე ჯონჯოლიანი შესამჩნევად აძლიერებს სიჩქარეს — 15.8. შემდეგ წრეზე იგი იგებს უკვე 0,7 წამს. უკანასკნელი წრე გავლილია 17,8. ჯოხაძის შედეგი გაუმჯობესდა. ახლა უკვე საუკეთესო მაჩვენებელი აქვს ჯონჯოლიანს 1:17,0. ბევრმა სცადა ჯონჯოლიანის მიერ ნაჩვენები დროის გაუმჯობესება, მაგრამ ამაოდ. იგი პირველ ადგილზეა.

შედარებით ნაკლები დაძაბულობით ხასიათდებოდა ქალთა გიტი ადგილიდან ერთ კილომეტრზე. დიდხანს საუკეთესო შედეგი ჰქონდა თბილისელ ა. ივანოვას — 1:26,4 (ეს შედეგი ახალი რესპუბლიკური რეკორდია), მაგრამ იგი გააუმჯობესა ტულის წარმომადგენელმა კოპტევამ — 1:24,9. მეორე ადგილზე გამოვიდა კიეველი კუხარენკო, რომელმაც ივანოვას აჯობა 0,1 წამით. თბილისის ველოსიპედისტს წილად ხვდა მესამე ადგილი.

ქალთა გუნდური რბოლის (3 კილომეტრზე) ფინალში გავიდნენ ტულისა და მოსკოვის წარმომადგენლები. შესანიშნავ სტილში გამარჯვება მოიპოვეს ტულელმა სპორტსმენებმა — 4:18,6. მეორე ადგილზე გამოვიდა მოსკოვის გუნდი, მესამეზე — თბილისის წარმომადგენლები. თბილისის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ სამოდუროვა, ივანოვა, ქეკიაგინა, ჯალაღანიძე დისტანცია დაფარა 4:25,3. ეს შედეგი ახალი რესპუბლიკური რეკორდია.

ვაჟთა შორის გუნდური რბოლის (4 კილომეტრზე) ერთი ფინალისტი გამოვლინდა რიგისა და ტულის ველოსიპედისტთა შეჯიბრებაში. გაიმარჯვა ტულის გუნდმა 5:17,2. თბილისის გუნდი წინასწარ შეჯიბრებაში მონაწილეობდა მარტო. მიუხედავად ამისა საქართველოს ველოსიპედისტებმა აჩვენეს ისეთივე დრო, რაც ტულელებს ჰქონდათ — 5:17,2 და გავიდნენ ფინალში.

განსაკუთრებით საინტერესოდ ჩატარდა ტულისა და თბილისის წარმომადგენელთა ფინალური შეხვედრა. საქართველოს გუნდი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ჯონჯოლიანი, ძებნიაური, ჯოხაძე და იზრაელიანი, წინ იყო მთელი რბოლის მანძილზე და ფინიშის ხაზიც პირველმა გადასჭრა. თბილისის ველოსიპედისტთა მიერ ნაჩვენები შედეგი 5:11,8 ახალი რესპუბლიკური რეკორდია. ტულის გუნდმა დისტანცია დაფარა 5:16,0. მესამე ადგილზე გამოვიდა მოსკოვის სპორტსმენთა კოლექტივი.

შეჯიბრების მესამე დღეს მოეწყო რბოლა ვაჟთათვის 100 წრეზე გაიმარჯვა რესლინგმა (რიგა), მეორე იყო კოლუმბეგი (კიევი), მესამე — ჯონჯოლიანი. სალიდერო რბოლაში 25 კილომეტრზე ფინიშთან პირველი მივიდა რიუტინი (გროზნო, ლიდერი ჩუდნოვი), მეორე ადგილი დაიკავა ძებნიაურმა (ლიდერი ხაბურზანია).

საერთო პირველი ადგილი დაიკავეს ტულელმა ველოსიპედისტებმა. თბილისელები მეორე ადგილზე გამოვიდნენ.

ავტომშენებელთა ფიზკულტურულ კოლექტივში

სპორტული თანამეგობრობა

სპორტის მოყვარულნი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ძალოსანთა ასპარეზობას. ვრცელი დარბაზი ვერც კი იტევდა მაყურებლებს.

სარბიელზე გამოვიდა მხარბეჭიანი ჭაბუკი. ის მშვიდად მივიდა შტანგასთან, დაიხარა და თავისუფლად აიტაცა. როცა მან ასევე აუღელვებლად შეასრულა აჭიმვისა და აკვრის ილეთები, დარბაზში ტაშმა იგრიალა.., თანატოლები და მეგობრები პირველი თანრიგის ნორმის შესრულებას ულოცავდნენ ამირან ზარაბაძეს.

მას შემდეგ დიდ დრო არ გასულა, მაგრამ ჭაბუკის ცხოვრება სასიხარულო მომენტებით აღინიშნა. უკან დარჩა ავტოტექნიკოსად მუშაობისა და სტუდენტობის წლები. ახლა იგი ტექნიკური კონტროლის განყოფილების ინჟინერია, ხოლო სპორტის სიყვარული უფრო გაუღვივდა. სიმძიმეთა აწევა კვლავ განსაკუთრებით იზიდავს ახოვან ჭაბუკს.

ამ ზაფხულსაც ამირანმა ერთხელ კიდევ დაიცვა ქართველ მეავტომობილეთა სპორტული ღირსება: მინსკში მოწყობილ „ტორპედოს" ცენტრალური საბჭოს საკავშირო ასპარეზობაში კვლავ წარმატებით გამოვიდა — სამჭიდის ჯამში 312,5 კილოგრამი დააგროვა.

ამირანს გამარჯვებას ულოცავდნენ, მაგრამ ის არ დაწყნარებულა ასპარეზობის .დამთავრებამდე — თანამეგობრების ბედი აღელვებდა. ამ დღეს ქუთაისელმა ძალოსნებმა ბრწყინვალე შედეგები აჩვენეს. ამირანთან ერთად ნ. ფურცელაძემ, ვ. ჩხენკელმა და სხვებმაც ისახელეს თავი.

ქარხნის სპორტსმენთა ეს წარმატება პირველი როდია.

— ძნელია ზეპირად ჩამოთვალო ყველა ის გამარჯვება, — ამაყად ამბობს ფიზკულტურის ინსტრუქტორი ე. ნიჟარაძე, — რაც ჩვენმა სპორტსმენებმა სხვადასხვა ასპარეზობაში მოიპოვეს. შვიდი საკავშირო, ამდენივე რესპუბლიკური, ორმოცამდე საქალაქო სიგელი თავისთავად ლაპარაკობენ ქარხნის ფიზკულტურელების წარმატებებზე.

ქუთაისელმა ავტომშენებლებმა განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს ამასწინათ დამთავრებულ ქალაქის საფაბრიკო-საქარხნო სპარტაკიადაში. მათ პირველი ადგილები დაიკავეს შეჯიბრების პროგრამით გათვალისწინებულ თითქმის ყველა სახეობაში.

ქუთაისში გუშინდელ დღესავით ახსოვთ უკაცრიელ მინდორს როგორ შეუტიეს ექსკავატორებმა და ბულდოზერებმა... მანქანები გრუხუნით შეექიდნენ ყამირს. გაითხარა ტრანშეები, ლაბირინტივით დაიხლართა საძირკვლები. ზღაპრულ საოცრებასავით იზრდებოდა ქართული ავტომობილის სამჭედლოს ხარაჩოები, შორიდან თანდათან უფრო ნათლად მოჩანდა ქარხნის კონტურები.

მშენებლობის დაბადებასთან ერთად გაჩნდა სპორტული ბაზები — ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის მოედნები.

როცა კონვეიერიდან მშობლიური მარკის პირველი ავტომობილი გადმოვიდა და საცდელი რეისით ჭადრებით ამწვანებულ, ლარივით სწორ ქუჩას ჩაუქროლა, მეავტომობილეები მანქანის ძარიდან სიამოვნებით ათვალიერებდნენ მაღალსართულიან საცხოვრებელ ბინებს, გაფორმებულ მაღაზიებს, დიდ ნაგებობებს, მათ შორის თვალი ადვილად შეამჩნევდა საცურაო აუზს და დაბრკოლებათა ზოლს, საჭიდაო სარბიელსა და სახტომ ორმოებს, სარბენ ბილიკებსა და სპორტდარბაზის შენობას, მოედნებს. ეს ყველაფერი უმოკლეს დროში მიიღეს ქარხნის სპორტსმენებმა.

რა ცოტა ხანმა განვლო და როგორ გაიზარდა მეავტომობილეთა ქალაქი! მოვიდა სიცოცხლითა და დაუცხრომელი სურვილებით აღსავსე ახალგაზრდობა, რომელსაც თანაბრად იზიდავს საკუთარი პროფესია და სპორტი. ახლა მართლაც ძნელია ზეპირად ჩამოთვალო ის უამრავი წარმატება, რაც ასე მოკლე დროში მოიპოვეს მუშა სპორტსმენებმა, მაგრამ უფრო ძნელია მათი სახელების ჩამოთვლა. სპორტი ისე ღრმად შეიჭრა ავტოქარხნელთა ცხოვრებაში, რომ ბევრს მის გარეშე წარმოდგენაც არ შეუძლია. ვიღაცამ ღიმილით შენიშნა, — ჩვენი მუშები დაზგიდან პირდაპირ სპორტულ სექციებში ან ასპარეზობებზე მიიჩქარიანო.

მეავტომობილეთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს კრივი. ბევრ მათგანს სერიოზულ შეჯიბრებებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება აქვს. სამოდელო საამქროს სტახანოველი ხარატი გ. გუბაევი პირველთანრიგოსანი მოკრივეა. მას არაერთხელ მიუღია მონაწილეობა საკავშირო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. პირველთანრიგოსნები ფ. კიშაევი, გ. ტიკარაძე, გ. ტყაბლაძე და სხვები შრომასა და სპორტში მოწინავეობისათვის იბრძვიან. სპორტდარბაზში ხშირად ნახავთ ხელთათმნიან ახალგაზრდებს, რომელნიც დაჟინებით ვარჯიშობენ, იწრთობიან, ოსტატდებიან. მათთან ყოველთვის განუყრელადაა პირველთანრიგოსანი მოკრივე ნ. თორთლაძე, რომელიც მთელ თავის ცოდნას დაუზარებლად გადასცემს ტყავის ხელთათმანის მომავალ ოსტატებს.

მაგრამ სპორტულ დარბაზში მარტო მოკრივეები როდი იკრიბებიან. აქ არიან ძალოსნები, ტანმოვარჯიშეები, ფრენბურთელები... მუდმივ სტუმართა შორის ხშირად ნახავთ ქარხნის ტექნოლოგიური განყოფილების უფროსს ვასილ ჟურავლიოვს — სპორტის გულშემატკივარს და თვითონაც კარგ სპორტსმენს. ჩამოვიდა თუ არა ქარხანაში სამუშაოდ, ვ. ჟურავლიოვი მაშინვე დაუმეგობრდა ქართველ სპორტსმენებს. მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა ფრენბურთელ ვაჟთა და ქალთა, კალათბურთისა და ფეხბურთის გუნდები, რომელთა განუყრელი წევრი და წამყვანი მოთამაშეა დღესაც.

ვ. ჟურავლიოვმა არაერთი კარგი ფრენბურთელი აღზარდა. მათგან 19 უკვე თანრიგოსანია. სამსხმელო საამქროს ოსტატი ზ. კიკვაძე და რუხი თუჯის საამქროს ოსტატი ა. გელეიშვილი პირველი თანრიგის ნორმების ჩასაბარებლად ემზადებიან რუსი მეგობრის ხელმძღვანელობით. სპორტულ თანამეგობრობაში ოსტატდებიან და იწრთობიან ქარხნის ფრენბურთელები. ქალთა და ვაჟთა გუნდები ქუთაისის არაერთგზის ჩემპიონები არიან. მათ წელს საქალაქო თასი მოიპოვეს.

სპორტმა ბევრი დაამეგობრა. მეორეთანრიგოსანი მოცურავე, სამსხმელო საამქროს ოსტატი ივანე ბრაგინი წყალჯომარდობაში წვრთნის ქართველ, რუს, სომეხ და ოს ახალგაზრდებს. მისი ხელმძღვანელობით ხარატებმა ირინე მუზაფაროვმა და ტატიანა მერტვიშევამ ცურვაში მესამე თანრიგის ნორმები ჩააბარეს. ზაქრო კიკვაძისა და ლიუდმილა კუზმინას სპორტული თანამეგობრობა შეუღლებით დაგვირგვინდა.

... განუწყვეტლივ ხმაურობენ ჩარხები, საამქროებში მზადდება ქართული ავტომობილის დეტალები. მთელი კოლექტივი იბრძვის სასახელოდ შეასრულოს სამშობლოს დავალება. ყველგან — სახარატო ჩარხთან თუ ამწყობ საამქროში, ლითონის სადნობ ღუმელებთან თუ შასის საამქროში სპორტსმენები სტახანოვურ ვახტზე დგანან, ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ ქარხნის წარმატებებში.

გ. ოქრუაშვილი

ქ. ქუთაისი.

სურათზე: საავტომობილო ქარხნის საწყლოსნო სადგური.

უკეთესი მაჩვენებლებისათვის

საამწყობო საამქროს ფიზკულტურულ კოლექტივში გაერთიანებულია 72 წევრი, რომლებიც წარმატებით ეუფლებიან სპორტის სხვადასხვა სახეობას.

საქარხნო პირველობაზე მოწყობილ ასპარეზობებში საამქროს ფეხბურთის, ფრენბურთის, მოჭიდავეთა, მოჭადრაკეთა გუნდები მუდამ საპატიო ადგილებს იკავებენ. ამასწინათაც ჩვენმა მოჭიდავეებმა პირველი ადგილი აიღეს. მათგან უძლიერესნი ვ. შენგელია, უ. გაბუნია, და გ. გატაშვილი ქარხნის ნაკრებ გუნდში შედიან. ასევე პირველი ადგილი მოვიპოვეთ სიმძიმეთა აწევაში. ძალოსნები ნ. კუჭუხიძე, ა. უგრეხელიძე და ა. ჯიმშელეიშვილი საუცხოო სპორტული მონაცემების ახალგაზრდებია. ქარხნის ნაკრებში თამაშობენ ფეხბურთელები მ. კაშია და დ. გაბელაია.

წელს გადაჭარბებით შევასრულეთ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების დავალება. მარტო მეორე და მესამე თანრიგზე ნორმები ჩააბარა 11 ახალგაზრდამ.

ბორის ვაშაკიძე,

ამწყობი საამქროს ძირეული ფიზკულტურული საბჭოს თავმჯდომარე.

ველოსიპედისტთა შენიშვნა

არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ჩამოვაყალიბეთ ველოსექცია, მაგრამ სპორტის ამ სახეობამ ბევრი ახალგაზრდა დააინტერესა. ამჟამად სექციაში 28 კაცია გაერთიანებული, მათგან 9 ქალიშვილია. სისტემატური წვრთნით ბევრმა მეორე და მესამე თანრიგის ნორმები ჩააბარა.

შარშან მოსკოვიდან სამონტაჟო საამქროში მოწაფედ ჩამოვიდა თამარ პაკაევა, რომელმაც ველოსპორტისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინა. გოგონამ სულ რაღაც ერთი წლის მანძილზე ჯერ მესამე, ხოლო შემდეგ მეორე თანრიგის ნორმები ჩააბარა. ამჟამად ის პირველი თანრიგის ნორმების ჩასაბარებლად ემზადება.

მესამე თანრიგოსნები ვიქტორ ბონდარენკო, გივი გორდაძე, გალინა გოლუბოვსკაია, ტატიანა მერტვიშევა და სხვები თანდათან იმაღლებენ სპორტულ ოსტატობას.

ქარხნის ველოსიპედისტებმა მრავალ შეჯიბრებაში დაიკავეს საპატიო ადგილები. მათ უფრო მეტი წარმატების მოპოვება შეუძლიათ, რომ სათანადო პირობები ჰქონდეთ შექმნილი. ჯერ ერთი — არ გაგვაჩნია ველოტრეკი, რის მოწყობის სრული შესაძლებლობაა, მეორეც — გვაქვს მხოლოდ ოთხი მანქანა, რომელთა ნაწილი დაზიანებულია და სავარჯიშოდ თითქმის გამოუსადეგარი.

ველოსიპედისტთა სამართლიან შენიშვნებს ყურადღება უნდა მიექცეს.

ვიქტორ ბაბატოვი,

მეორეთანრიგოსანი ველოსიპედისტი.

ფ ე ხ ბ უ რ თ ი

სსრ კავშირის თასზე

5 და 6 ოქტომბერს, [illegible]
„დინამოს" სტადიონზე ჩატარდა საბ
ჭოთა კავშირის 1953 წლის თასის გ
თამაშების ნახევარფინალური შე
ვედრები. ხუთ ოქტომბერს ერთმა
ნეთს შეხვდნენ მოსკოვის „დინამოსა
და სტალინოს „შახტიორის" ფეხბურ
თელები. სტალინოელებმა, რომლები
წელს „ბ" კლასის ფინალში მონაწ
ლეობდნენ, ძლიერად ჩაატარეს შე
ვედრები თასზე და მოიპოვეს ნახევარ
ფინალში მონაწილეობის უფლებ
მათ ამჯერადაც მედგარი წინააღმდ
გობა გაუწიეს ძლიერ მეტოქეს. ე
თადერთმა ბურთმა, რომელიც სტუმ
რების კარში იქნა გატანილი, შეხვედ
რის ბედი დინამოელთა სასარგებ
ლოდ გადაწყვიტა.

მეორე ნახევარფინალურ შეხვედ
რას უნდა გამოევლინებინა ფინა
ლისტი, რომელიც შეხვდებოდა პირ
ველ ნახევარფინალში გამარჯვებუ
მოსკოვის „დინამოს". ინტერეს
ისიც აძლიერებდა, რომ მოგებ
შემთხვევაში გამარჯვებულ გუნდ
თასამდე მხოლოდ ერთი შეხვედრ
რჩებოდა. ამიტომ მოსკოვის „ლოკო
მოტივისა" და კუიბიშევის „ზენ
ტის" გუნდებმა თამაში გამარჯვებ
ურყევი რწმენით, სწრაფი ტემპ
დაიწყეს. ხშირად იქმნებოდა სახიფ
თო მომენტები ხან ერთ, ხან მეორ
გუნდის კართან. დაძაბული ბრძოლ
დამთავრდა კუიბიშევის ფეხბურთელ
თა გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

ამრიგად ფინალში თამაშის უფ
ლება მოიპოვეს მოსკოვის „დინამო
სა" და კუიბიშევის „ზენიტის" გუ
დებმა.

საქართველოს პირველობა

4 ოქტომბერს ჩატარდა საქართვე
ლოს პირველობის მეორე წრის მე
რე ტური. „ა" ქვეჯგუფის გუნდ
ბიდან თელავში ადგილობრივმა დ
ნამოელებმა მიიღეს სკიფი („მედიკ
თბილისი). შეხვედრის პირველი ნ
ხევარი დამთავრდა ფრედ — 0:0
მეორე ნახევარში სტუდენტებმა მო
წინააღმდეგის კარში 7 ბურთი გა
ტანეს და თავისაში კი მხოლოდ ერთ
მიიღეს.

მსაჯის შეურაცხყოფისა და უხ
ში თამაშისათვის მოედნიდან გ
ძევებულ იქნა თელაველი გ. ჩიტ
ლაძე. აღსანიშნავია ისიც, რომ სტ
დიონზე ადგილობრივმა ხელისუ
ლებმა ვერ დაიცვეს წესრიგი.

თბილისში 26 კომისრის სახელო
ბის რაიონის გუნდმა მიიღო წყალ
წყაროს „ნეფტიანიკი". შეხვედრ
ანგარიშია 4:2 „ნეფტიანიკის" სასა
გებლოდ.

ხაშურის „ლოკომოტივმა" მორი
შეხვედრა ჩაატარა მახარაძეში ადგ
ლობრივ „კოლმეურნესთან". მა
პინძლებმა ლოკომოტიველთა კარ
5 ბურთი გაიტანეს, ხოლო თავისა
არც ერთი არ მიუღიათ. შეჯიბრებ
დროს „ლოკომოტივის" მოთამა
ა. ფარცვანია მსაჯის შეურაცხყოფ
სათვის გაძევებულ იქნა მოედნიდ
ამის საპასუხოდ ხაშურელმა ბ. კ
ნაძემ დემონსტრატიულად დატო
მოედანი. გუნდის ხელმძღვანელობ
აღნიშნულიდან სათანადო დასკვნე
უნდა გააკეთოს.

თბილისის ორთქლმავალ-ვაგო
შემკეთებელი ქარხნის გუნდს შეჯი
რებაზე გამოუცხადებლობის გა
ბორჯომის ნაკრებთან წაგება ჩაე
ვალა.

სოხუმში ერთმანეთს შეხვდნენ ა
გილობრივი და ზუგდიდელი დინამ
ელები. თამაშის ანგარიშია 1:1.

სტალინირის „სპარტაკმა" ბათუ
ში ადგილობრივ „დინამოსთან" სტუ
ტალ ჩაატარა შეხვედრა და წააგო
4:1.

◆

ქობულეთის გუნდი — აჭარის ჩემპიონი

ჩატარდა აჭარის ასსრ პირველ
ბის გათამაშება ლელობურთში. მ
ნაწილეობდნენ: ქობულეთის, ბათ
მის, ქედის, ხულოს, შუახევის რაი
ნებისა და ბათუმის პედაგოგიუ
ინსტიტუტის გუნდები.

ფინალში ქობულეთის რაიონ
გუნდმა დაამარცხა პედინსტიტუტ
გუნდი (19:6) და მოიპოვა აჭარ
ასსრ ჩემპიონის წოდება.

ო. კონცელიძე

სურათზე: ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კალათბურთელთა გუნდი.

★

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურის კათედრის მუშაკები სათანადო დახმარებას უწევენ მცხეთის საწყალოსნო სადგურს. ისინი სპორტსმენებთან ხშირად ატარებენ საუბრებს, კონსულტაციებს, აძლევენ რჩევა-დარიგებას.

★

★

სურათზე: ზევით თქვენ ხედავთ ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურის კათედრის დოცენტს ა. ზოიძეს, რომელიც აწარმოებს ნიჩბოსნობაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის თ. შალიბაშვილის ნერვიულ სისტემაზე დაკვირვებას. ქვევით — მცხეთის საწყალოსნო სადგურის ხედი.

★

დახმარების ნაცვლად...

როცა მ. ხელაძეს „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარედ ირჩევდნენ, მან რაიონის ხელმძღვანელ მუშაკებს მეათედ შეახსენა:

— მე საქმის უცოდინარი ვარ, უპატრონოდ მაინც ნუ დამტოვებთ, დამეხმარეთ.

— ნუ გეშინია, — უთხრეს მას, — იოლი საქმეა: ჩამოუარე კოლმეურნეობებს, შენებურად შეაფუცხუნე, აკრიფე საწევრო ანარიცხები და მერე წამოწექი მხართეძოზე...

ერთბაშად გადაწყდა საკითხი და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების ყოფილი მუშაკი რაიონის კოლმეურნე სპორტსმენთა ხელმძღვანელი გახდა (სხვათაშორის უნდა აღინიშნოს, რომ მ. ხელაძე თავისი სიცოცხლის 45 წლის მანძილზე ფეხბურთის თამაშსაც კი არ დასწრებია).

მართლაც, ახალმა თავმჯდომარემ მუშაობა იმით დაიწყო, რითაც უნდა დაემთავრებინა — მეორე დღიდანვე შეუდგა საწევრო ანარიცხების აკრეფას. ორი თვეა ხახაგამშრალი დადის ერთი კოლმეურნეობიდან მეორეში, ზოგს ემუქრება, ზოგს ემუდარება, მაგრამ გეგმის შესრულებას მაინც ვერ მიაღწია...

— ეჰ! ნეტავ გათვალისწინებული თანხის მეოთხედი მაინც ავკრიფო, — იტყვის ხოლმე ხელაძე და შუბლს მუშტით ისრესავს. მთავარი უბედურება ისაა, რომ წევრთა რაოდენობაც უცნობია ჩემთვის და ვის მოვთხოვო ფული?

თავმჯდომარემ ამას წინათ, როგორც იქნა მოიცალა შემოსული საქმიანი ქაღალდების გადასათვალიერებლად. ერთ-ერთი მათგანი 290 ნიშნოსნის, 24 თანრიგოსნის, საზოგადოებრივი ინსტრუქტორების, მსაჯების, ფიზორგების, ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების თავმჯდომარეთ მომზადების დავალებას იძლეოდა.

— ბიჭოს, რა არის ეს?! — გაუკვირდა მ. ხელაძეს, — მე ამის არაფერი გამეგება და არც დრო მაქვს სამისო! — ხელი ჩაიქნია და გეგმა საარქივო მასალებში მოასვენა.

— პატივცემულო მიხეილ, — მორიდებით შეახსენა თანამშრომელმა, — ზაფხულის სპორტულ ღონისძიებათა გეგმა-კალენდარიც შესასრულებელია. იგი ითვალისწინებს ასპარეზობას ველოსპორტში, ცხენოსნობაში, მძლეოსნობაში, ჭადრაკში, ჭიდაობაში, ფეხბურთში... როგორ მოვიქცეთ?

— თავი დამანებეთ! რას ფიქრობდა ი. რევიშვილი, როცა ასე ბერავდა გეგმას?

უნდა ითქვას ისიც, რომ „კოლმეურნის“ რაისაბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ ი. რევიშვილმა სავსებით ჩაშალა მუშაობა. სწორედ მისი წყალობითაა, რომ კოლმეურნეობის დიდ ნაწილს არ გააჩნია სპორტული ბაზები, კოლმეურნე ფიზკულტურელები არ აწარმოებენ წვრთნას. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა დღრჩის, საჩხერის, ოფშკვითის, პატრიკეთის კოლმეურნეობებში. რაიონის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობამ 19 ათას მანეთად შეიძინა სამარულე ცხენი და მას ხან თავმჯდომარე დააჯირითებს, ხან კი... წერილების დამტარებელი.

მ. ხელაძესთან ერთად, ერთ ოთახში, ერთ ჭერქვეშ მუშაობს ქუთაისის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ფიზკულტურისა და სპორტის ინსპექტორი ა. ტყაბლაძე. იგი გულგრილად შესცქერის, თუ როგორ იშლება მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა კოლმეურნეობებში.

მ. ხელაძე გამოუცდელი მუშაკია. დახმარების ნაცვლად მას ზედმეტად უზვიადებენ საქმეს, გზას უბნევენ... ნუთუ ამას ვერ ამჩნევენ ქუთაისის რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები?

გ. ჯანჯალაშვილი

ცვლილებანი მძლეოსნობაში შეჯიბრების ჩატარების წესებში

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მთავარმა სამმართველომ დაამტკიცა ცვლილებანი მძლეოსნობაში შეჯიბრების ჩატარების მოქმედ წესებში, რომლებიც შემუშავებულია მსაჯთა საკავშირო კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ. ამ ცვლილებებიდან ძირითადი შემდეგია:

თარჯებს ვაჟთა და ქალთათვის ყველა დისტანციაზე შეიძლება ჰქონდეს წესებში აღნიშნული ნომინალური სიმაღლისაგან 3 მმ-ით განსხვავებული სიმაღლე; თარჯის გადაყირავებისათვის საჭირო დაჭიმვის ძალა უნდა იყოს არანაკლებ 3,6 კგ და არაუმეტეს 4,0 კგ; დაბრკოლებები 3.000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში (სტიპლჩეზი) შეიძლება იყოს როგორც ღია (ფირ ფიცრით აუკრავი), ისე დახურული (აკრული) ტიპისა.

საერთო ბილიკზე რბენაში იმ დისტანციებზე, სადაც სტარტი მოსახვევის დასაწყისის წინ იმყოფება, სასტარტო ხაზს აკეთებენ არა წარბას პერპენდიკულარულად, არამედ მრუდწრიულად, წინ გამოტანით („სტარტი მრუდეზე“).

ცალკეულ ბილიკებზე რბენაში მორბენალი მოიხსნება მოცემულ დისტანციაზე შეჯიბრებიდან, თუ იგი დისტანციის რომელიმე ნაწილს გაირბენს სხვის ბილიკზე. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ, თუ ამ გარემოებამ მას სხვების მიმართ უპირატესობა მისცა (ამცირებდა მისი გარბენის დისტანციას, — მაგალითად, დაბიჯება მოსახვევის არა სწორი ხაზის გავლისას მარცხენა თეთრ ხაზზე) ან ხელს უშლიდა სხვა მონაწილეს.

ამანათის გადაცემისას აკრძალულია გუნდის ერთი მონაწილის დახმარება მეორისადმი (მაგალითად, ხელის წაბიძგება).

სიმაღლეზე ხტომაში და ჭოკით ხტომაში მანძილი დგარებს შორის უნდა იყოს 3,66-დან 4 მეტრამდე.

საბჯენი ყუთის ფსკერი ჭოკით ხტომისას ზევითა განიერი ნაწილიდან მოყოლებული 80 სმ სიგრძით იფარება არანაკლებ 2,5 მმ ლითონის ფურცლით, რომელიც მტკიცედ მაგრდება ფსკერზე; ჭოკით ხტომაში შეჯიბრებისას ნებადართულია ქვიშის ნაცვლად ხის ბურბუშელის გამოყენება, რომელიც 1-1,5 მ ფენით იყრება ორმოს დონეზე მაღლა; ამასთან ორმოს კიდეებზე (გვერდითი და უკანა მხრიდან) რამდენიმე რიგით დაიწყობა ბურბუშელით გავსილი ტომრები, რომლებიც ქმნიან მაღალ ქიმს. სიმაღლეზე ჭოკით ხტომაში შეჯიბრების მონაწილეს არ ეკარგება შედეგის ჩათვლა წარმატებითი ნახტომის შემდეგ თამასის ქვეშ ორმოდან უკან გასვლის შემთხვევაში.

სამხტომში — არეკნის შემდეგ ფეხით ბილიკის გრუნტის წამოკვრის შემთხვევაში ნახტომი არ ჩაითვლება.

ყველა სახის ტყორცნაში — ტყორცნისა და უფროსი მსაჯის ძახილის „არის“ შემდეგ — მონაწილე უნდა გამოვიდეს წრიდან მისი უკანა ნახევრის მხრით; ამ წესის დარღვევისას მსაჯი მონაწილეს აძლევს შენიშვნას, მაგრამ შედეგი არ უქმდება.

მრავალჭიდში შეჯიბრებისას, რომელიც ორ დღეს ტარდება იმ შემთხვევაში თუ მისი ჩატარება აღნიშნულ ვადაში შეუძლებელია არახელსაყრელი ამინდის გამო, პროგრამის ჩაუტარებელი ნომრები შეიძლება გადატანილი იქნას შეჯიბრების შემდგომ (მესამე) დღეს; მაგრამ ნაჩვენები შედეგი არ შეიძლება ჩათვლილი იქნას რეკორდად; სათანრიგო ნორმების შესრულება ჩაითვლება.

ორი ჩემპიონის შეხვედრა

ჩოხატაურში ჩატარდა სპორტული დღე. ფრენბურთში ჩოხატაურის ნაკრებმა დაამარცხა „კოლმეურნეს“ რაისაბჭოს გუნდი, დოღში 3 კილომეტრზე გაიმარჯვა კ. მამალაძემ, ხოლო მარულაში 8 კმ-ზე ფინიშის ხაზი პირველად ა. ჯიქიამ გადაჭრა. დაბრკოლებათა გადალახვაში კარგი შედეგი უჩვენეს ვ. ბერიძემ, ა. მეგრელიშვილმა და ო. ჩხიკვაძემ. ცხენბურთში გაიმარჯვა პირველმა გუნდმა, ისინდში — მეორე გუნდმა.

დიდი ინტერესი გამოიწვია ლელობურთელთა შეხვედრამ. ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს 1952 წლის ჩემპიონი — ჩოხატაურის ნაკრები და რაიონის 1953 წლის ჩემპიონი სოფელ ერკეთის ნაკრები გუნდები. გაიმარჯვა ჩოხატაურის გუნდმა ანგარიშით 28:10.

ზ. ახალაია

სპორტის ახალი ოსტატები

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის მთავარმა სამმართველომ საქართველოს კალათბურთელთა გუნდის წევრებს: ა. მეუნარგიას, ე. გნოოტოვას, ა. ასიტაშვილს, ც. ქლენტს, ე. ვარლამოვას, თ. ფცქიალაძესა და ნ. ტოტიაშვილს, აგრეთვე ფრენბურთელ ე. ხაჩიკიანს მიანიჭა სპორტის ოსტატის წოდება.

არსებული მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს

ტანვარჯიშს საქართველოში საუკეთესო ტრადიციები აქვს. ძველი თაობის ქართველ ტანმოვარჯიშეთა სახელები საბჭოთა კავშირის საზღვრებს იქითაც იყო ცნობილი. მაგრამ სამწუხაროდ, ეს იყო წინათ. გადის დრო და რესპუბლიკის ტანმოვარჯიშეთა რიგებში სულ უფრო ნაკლებად ვხვდებით მაღალი კლასის ოსტატებს. საგრძნობლად დაეცა საკავშირო შეჯიბრებათა სარბიელზე საქართველოს ნაკრები გუნდის სპორტული მაჩვენებლებიც. თუ 1947 წელს საქართველოს გუნდი საბჭოთა კავშირის პირველობაზე მეორე ადგილზე გამოვიდა, 1952 წელს მათ მეხუთე ადგილზე გადაინაცვლეს. გასულ წელს ჩვენი რესპუბლიკის მოზარდთა ნაკრები გუნდი პირველ ხუთეულში იყო, წელს კი მე-16 ადგილზეა. როგორც ვხედავთ, საკავშირო შეჯიბრებებში ვერც უფროსი და ვერც უმცროსი თაობა სახარბიელო შედეგებს ვერ აღწევს.

ამაში უპირველეს ყოვლისა დამნაშავენი არიან დედაქალაქის სპორტული ორგანიზაციები, რომლებიც ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ტანვარჯიშის განვითარებას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრებები სპორტის ამ ერთ-ერთ საინტერესო სახეობაში შემთხვევიდან შემთხვევამდე ტარდება, არ ეწყობა ძირეული კოლექტივების შეჯიბრებები, სპორტული საღამოები და ოსტატთა საჩვენებელი გამოსვლები. ყოველივე ამან შეანელა ახალგაზრდების ინტერესი ტანვარჯიშისადმი.

ამასწინათ გაიმართა თბილისის პირველობა ტანვარჯიშში. შეჯიბრების დაწყებიდან რამდენიმე დღით ადრე გამოირკვა, რომ მოწინავე ტანმოვარჯიშეები ასათიანი, მაჭარაშვილი, ქორქია, ჭოიავა და სხვები არ მონაწილეობდნენ პირველობაში. მათ ზედმეტად ჩათვალეს ასეთი „პატარა“ მასშტაბის შეჯიბრებაში მონაწილეობა. რად ავიწყდებათ აღნიშნულ ამხანაგებს, რომ ეს შეჯიბრება იქნებოდა ძალების სერიოზული დათვალიერება, გამოცდა მომავალი საკავშირო ჩემპიონატის წინ. ქალაქის ტანმოვარჯიშეთა ჩემპიონატი გახდა 21 მოუმზადებელი ტანმოვარჯიშის დაბალი ოსტატობის დემონსტრაცია (!). სპორტის 19 ოსტატიდან და სამ პირველთანრიგოსნიდან მხოლოდ ერთმა შეძლო პირველი თანრიგის ნორმატივის ჩვენება (!). განა ეს ყოვლად შეუწყნარებელი ფაქტი არაა!

აღნიშნულ შეჯიბრებაში დაკომპლექტებული გუნდების გამოყვანა ვერ შეძლეს „ნაუკამ“, „ბოლშევიკმა“, „სპარტაკმა“, „მედიკმა“, „ტრუდმა“, „ლოკომოტივმა“ და სხვა სპორტსაზოგადოებებმა. საინტერესოა, სპორტსაზოგადოებათა ხელმძღვანელები რატომ არ გეგმავენ სასწავლო-საწვრთნელ მეცადინეობათა ვადებს სპორტული კალენდარის ღონისძიებათა შესაბამისად? მათ უნდა ახსოვდეთ, რომ თუ სექტემბრის დასასრულისათვის თბილისის ტანმოვარჯიშეთა უმრავლესობა მოუმზადებელია, ეს იმას ნიშნავს, რომ ნოემბერში საკავშირო პირველობაზე ვერ შეძლებენ წარმატების მოპოვებას.

თბილისში აღრიცხვის თანახმად 3.000-მდე ტანმოვარჯიშე 350 ჯგუფშია გაერთიანებული. მათთან წვრთნას აწარმოებს 250 მწვრთნელი. 1952 წლის მაჩვენებლებით ქალაქში მომზადდა 933 თანრიგოსანი, მათ შორის 25 პირველთანრიგოსანი. თავისთავად ეს რიცხვი, რასაკვირველია, არასახარბიელოა, მაგრამ სამწუხაროა ის, რომ ამ 25 პირველთანრიგოსნიდან თბილისს არც ერთი ოსტატი არ შემატებია. უფრო მეტიც — მხოლოდ ერთმა (ცილურაძემ) შეძლო თანრიგის გამეორება. არასწორი, დაბალხარისხოვანი საწვრთნელი მუშაობის შედეგად მოუმზადებელი პირველთანრიგოსნები ებღაუჭებიან ოსტატის ნორმას და შეჯიბრებებზე 108,0 (ოსტატის ნორმა) ქულის ნაცვლად 75,0, 56,4, 52,4 და 34,5 ქულას აგროვებენ. მწვრთნელთა საბჭომ უნდა იცოდეს, რომ აუცილებელი სკოლის გავლის გარეშე ოსტატის რთული პროგრამის ათვისება შეუძლებელია.

დედაქალაქში ტანვარჯიშის განვითარებას აფერხებს კიდევ ის მდგომარეობა, რომ მწვრთნელთა უმრავლესობა ჯერ კიდევ ძველი, დახავსებული მეთოდებით მუშაობს. ჯანმრთელობის დაცვის თბილისის განყოფილების ფიზკულტურისა და სპორტის სამმართველო, სპორტული ორგანიზაციები არ აწყობენ ტანვარჯიშის მწვრთნელთა სემინარებს, არ იმართება მწვრთნელთა შორის გამოცდილებათა ურთიერთგაზიარება, მეტად უმნიშვნელოა სპორტული წვრთნის მეთოდიკაზე არსებული ლიტერატურა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეტად დაბალხარისხოვნად წარმოებს ნორჩ ტანმოვარჯიშეთა შორის მუშაობა. ამის მიზეზი მწვრთნელთა დაბალი კვალიფიკაცია და ბაზებისა და ინვენტარის უქონლობაა. ბავშვს მწვრთნელმა უშუალოდ იარაღზე უნდა აჩვენოს ამა თუ იმ ვარჯიშის შესრულება. მხოლოდ ასეთი გზით შეძლებს ნორჩი ტანმოვარჯიშე წარმატების მიღწევას. მაგრამ ბევრ მწვრთნელს, არასაკმარისი სპეციალური მომზადების გამო, უჭირს უბრალო ტანვარჯიშული ელემენტების ჩვენებაც კი. საგრძნობლად აფერხებს ნორჩ ტანმოვარჯიშეთა შორის მუშაობას სპორტული ბაზების მოუწყობლობაც. ზოგ სკოლას არ გააჩნია სავარჯიშო დარბაზი. ზოგს აქვს დარბაზი, მაგრამ ტანვარჯიშული იარაღების უქონლობის გამო გამოუყენებელია. ორჯონიკიძის რაიონის 44-ე ქალთა სკოლის ახალ შენობაში არის მშვენიერი ნათელი დარბაზი, მაგრამ აქ ინვენტარი არ გააჩნიათ, ამიტომ მეცადინეობა არ ტარდება.

ნორჩ ტანმოვარჯიშეთა აღზრდას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სპორტულმა საზოგადოებებმა და ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა, უნდა გვახსოვდეს, რომ სრულფასოვანი რეზერვის გარეშე წარმატების მოპოვება შეუძლებელია.

დედაქალაქის ტანმოვარჯიშეთა უახლოესი ამოცანაა, დაუღალავად იბრძოლონ საკუთარი სპორტული ოსტატობის ამაღლებაზე და წარმატება მოიპოვონ საკავშირო პირველობაში.

თ. სარსანია, ზ. კობაიძე,
ლ. დარბაიძე, ე. მიქიაშვილი
გაზ. „ლელოს“ ბრიგადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთელი

ფოტოეტიუდი დ. იაკობაშვილისა

ცირკის სარბიელზე

ამას წინათ თბილისის სახელმწიფო ცირკმა 1953-54 წლის სეზონი ახალი საცირკო პროგრამით გახსნა.

მაყურებელთა საერთო მოწონება დაიმსახურა პროლოგმა, რომელიც ცირკის ოსტატებმა ხალხთა მეგობრობის თემას მიუძღვნეს. კარგად მოფიქრებულ სიუჟეტში გადმოცემულია მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხების საერთო სურვილი — ხალხთა მეგობრობა და მშვიდობა!

პროგრამა მრავალფეროვანია, ნომრების უმეტესი ნაწილი შესრულების თვალსაზრისით რთულია და მაყურებლის დიდ ინტერესს იწვევს. პროგრამა იწყება გუმბათ ქვეშ მსახიობ პერევოზჩიკოვის გაბედული ფრენით.

მაყურებლის ყურადღების ცენტრშია ჩინელ და კორეელ ოსტატთა ჯგუფები ვანზე-ვეისა და პან-ტოსის ხელმძღვანელობით. ჩინელ და კორეელ მსახიობებს ახასიათებთ შესრულების იშვიათი ტექნიკა, რიტმულობა და მოძრაობის სიზუსტე.

მაყურებელი ინტერესით ადევნებს თვალს გაჭიმულ ბაგირზე მოვარჯიშე კორეელ მსახიობს, რომლის შუბლზე შედგმულია ცირკის გუმბათამდე ამართული სვეტი, სვეტზე კი მსახიობი ქალი დგას. ეს ნომერი ღონის, სიზუსტისა და გამბედაობის შესანიშნავი შეხამებაა.

როგორც ჩინელმა, ისე კორეელმა მსახიობებმა სხვადასხვა ნომრის შესრულებისა და პირამიდების აგების დროს მოქნილობა, სიმარჯვე და მაღალი ფიზიკური მომზადება გამოავლინეს. თბილისელი მაყურებელი ინტერესით შეხვდა ჩინური ცირკის უხუცესი მსახიობის სიუ-ლის გამოსვლას.

დამსწრეთა სამართლიანი მოწონება დაიმსახურეს საბჭოთა ცირკის სხვა ოსტატებმაც. მოხტუნავე პუშკარენკოვებმა, გუცულმა მსახიობებმა მიკიტიუკებმა, მუსიკალურმა ექსცენტრიკებმა ვეტლიცენმა და კოროტკოვმა, სატირიკოსებმა ივანოვებმა და სხვებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია აკრობატი ძმები მარენკოვები, რომლებიც იშვიათი სიმსუბუქით ასრულებენ რთულ ილეთებს.

უდავოდ რთული და საინტერესოა ტანმოვარჯიშე ანციფეროვების გამოსვლა. რასაკვირველია, რთულ საცირკო ნომერს არ შეიძლება წავუყენოთ სპორტული ტანვარჯიშის პრეტენზიები, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა მოძრაობათა უფრო მეტი დახვეწა.

აღსანიშნავია მსროლელი გონჩარენკოვები, რომლებიც სრულყოფილად არიან დაუფლებული იარაღს.

საგულისხმოა ის მდგომარეობა, რომ მიმდინარე პროგრამის უმეტესი ნომრები მსახიობებისაგან მოითხოვს მაღალ ფიზიკურ და სპორტულ მომზადებას. ამ მხრივ ცირკის კოლექტივი კარგად მომზადებული წარდგა მაყურებლის წინაშე.

რ. დვალიშვილი

„ისკრის" ჩემპიონები

დამთავრდა საქართველოს პირადგუნდური შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში „ისკრის" პირველობაზე. მონაწილეობდა თბილისის, სუხუმის, ბათუმის, გორისა და ქუთაისის გუნდები. უმძიმეს წონაში პირველი ადგილი დაიკავა გ. ყურაშვილმა (სუხუმი), ქვემსუბუქ წონაში მ. გოგუაძემ (სუხუმი), მსუბუქ წონაში ა. ბეროზაშვილმა.

ქვესაშუალო წონაში პირველი ადგილი დაიკავა ი. ჩხარტიშვილმა (თბილისი), საშუალო წონაში ვ. მაისურაძემ (თბილისი). ნახევრადმძიმე წონაში გაიმარჯვა სპორტის ოსტატმა დ. ჩაჩანიძემ (თბილისი), მძიმე წონაში ჩემპიონი გახდა ვ. ცინცაძე (გორი). საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა თბილისის გუნდმა.

თ. დაუშვილი

სსრ კავშირის გუნდური პირველობა

დამთავრდა სსრ კავშირის გუნდური პირველობის გათამაშება ჭადრაკში. მწვავე ბრძოლის შემდეგ პირველი ადგილი მოიპოვა ლენინგრადის გუნდმა. გამარჯვებულ გუნდის სახელს იცავდნენ ფურმანი, კორჩნოი, ბივშოვი, ბორისენკო, ჩეხოვერი, კოპილოვი, გოლდბერგი, შამაევი, ბელოვა და ბიგლოვა. მეორე ადგილი დაიკავა რსფსრ-ს გუნდმა, მესამეზე მოსკოვის გუნდი.

სპორტული ქრონიკა

სოფელ განახლების (გალის რაიონი) კოლმეურნეობა „შრომაში" კომკავშირული ახალგაზრდობის ინიციატივით მოეწყო ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები.

შ. მიქაია

• • •

ტურისტულ ლაშქრობაში: თიანეთი-სოფლიონის მთა-ჩარგალი-მაღაროს კარი-თიანეთი — მონაწილეობდა თიანეთის საშუალო სკოლის 70 მოსწავლე. მოლაშქრეებმა გაიარეს 80 კილომეტრი, დაათვალიერეს ღირსშესანიშნავი ადგილები და მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ უკან.

ლ. ჯამაგიძე

• • •

ზესტაფონის რაიონის ცხრაწყაროს კოლმეურნე ფიზკულტურელებმა გამგეობის მხარდაჭერით მოაწყეს ფეხბურთის მოედანი და ჩაატარეს პირველი ამხანაგური შეხვედრა ქვედა საქარის ფეხბურთელებთან. შეხვედრის ანგარიშია 1:1.

ი. მუკათარიძე

• • •

ახმეტის რაიონის სოფელ დუისის საშუალო სკოლაში ფიზკულტურული მუშაობა ახალი ძალით გაჩაღდა. ფიზკულტურის მასწავლებლის ვ. ნანიევის ხელმძღვანელობით მოსწავლეებმა შეაკეთეს სპორტული მოედნები.

ამჟამად სკოლის ფიზკულტურული კოლექტივი ემზადება რაიონულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

ვ. ჩეკურიშვილი

• • •

სიღნაღში ჩატარდა ამხანაგური შეხვედრა კაჭრეთისა და სიღნაღის რაიონების მოჭიდავეთა ნაკრებ გუნდებს შორის. კაჭრეთელებმა მაღალ დონეზე ჩაატარეს შეხვედრა და 15 ქულით გაიმარჯვეს.

ზ. ორველაშვილი,
ი. ლვინიაშვილი

სპორტული საღამო

წყალტუბოში მოეწყო სპორტული საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა სპორტის ოსტატმა ი. ბობოხიძემ.

ჰელსინკში ჩატარებულ ოლიმპიურ თამაშობათა და საბჭოთა სპორტსმენების წარმატების შესახებ დამსწრეებს ესაუბრა ოლიმპიურ თამაშობათა ჩემპიონი დ. ციმაკურიძე. დასასრულ გაიმართა სპორტული გამოსვლები ტანვარჯიშში, კრივში, ქართულ, კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში.

მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია უძლიერესი საბჭოთა მოჭიდავეების გ. კარტოზიას, ვ. ილურიძისა და ვ. გიგიაძის მონაწილეობით თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში ჩატარებულმა საჩვენებელმა შეხვედრებმა და სპორტის ოსტატის ა. ალფაიძის მიერ ღერძზე შესრულებულმა ვარჯიშმა.

შ. გენძეხაძე

ციური მთების სიღრმეში

სანამ სახელოვანი რუსი მოგზაურები უშუალოდ გაეცნობოდნენ ტიან-შანს — საბჭოთა შუა აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე „ციური მთების მხარეს", მანამ მის შესახებ ძალიან მცირე ცნობები არსებობდა. თვით სახელგანთქმულ გეოგრაფ ჰუმბოლდტს ტიან-შანი წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც თურქესტანიდან მონღოლეთამდე გადაჭიმული და ვულკანებით დაფარული ქედი.

თექვსმეტი წლის წინათ შორეული მუილიუს ქედისაკენ მიემართებოდა ერთ-ერთი ასეთი ექსპედიცია. მას ხელმძღვანელობდა გამოჩენილი პროფესორი-ჰიგიენისტი, ალპინიზმისა და ...ფოტოგრაფიის მოყვარული ა. ლეტავეტი. მის გვერდით მიაბიჯებდნენ არქიტექტორი ნ. პოპოვი, მემრუდთარგე ს. ხოდაკევიჩი, მეცნიერი მუშაკი ი. ჩერეპოვი, ახალგაზრდა გეოგრაფი ე. ტიმაშევი და ავიაინჟინერი ვ. მუხინი. ისინი ყველანი სპორტის ოსტატები იყვნენ და შეებულების თვეებს მშობლიური ქვეყნის მაღალმთიანეთის შესწავლას ანდომებდნენ.

სტიქიონთან ვაჟკაცური ბრძოლის მეექვსე დღეს მთასვლელებმა მიაღწიეს ტიუზის უმაღლეს წერტილს. ლეტავეტი ყურადღებით ათვალიერებდა მის წინ გადაშლილი მთების სამყაროს... მამაცური იერიშით აღებულ იქნა როგორც ნანსენის, ისე კარპინსკის მწვერვალები. ამ უკანასკნელზე ყოფნისას პროფესორმა დღიურში შემდეგი ჩაიწერა „...ყველაზე მეტად მიიპყრო ჩვენი ყურადღება მწვერვალმა, რომელიც მდებარეობს ხან-თენგრიდან სამხრეთისაკენ და სიმაღლით თავისუფლად შეუძლია გაუწიოს მეტოქეობა ხან-თენგრის. ეს სრულიად უცნობი მწვერვალი წარმოადგენს ყინულის უზარმაზარ მასივს, რომელიც მკვეთრადაა ამართული ირგვლივ მდებარე მთებს შორის".

რა მწვერვალია იგი? საბჭოთა მიწა-წყალზე მდებარეობს თუ ჩინეთში? საითკენ მიემართება ციური მთების გრეხილი? ეს საკითხები მეტად აღელვებდნენ მთასვლელებს.

მაგრამ ერთი წლის შემდეგ ლეტავეტის ექსპედიცია უკვე ინილჩეკის მყინვარზე იყო. რამდენიმე დღე ქარბუქი მძვინვარებდა. როცა გამოიდარა, მთასვლელებმა ბანაკიდან სამხრეთისაკენ დაინახეს ვეებერთელა ყინულოვანი კედელი. და აი, ექსპედიციის მონაწილე სამი კომკავშირელი იერიშზე წავიდა. ესენი იყვნენ ქიმიკოსი ლეონიდ გუტმანი, მექანიკოსი ალექსანდრე სიდორენკო და ხარატი ევგენი ივანოვი.

ამ გამარჯვებით საბჭოთა სპორტსმენებმა არსებითი შესწორება შეიტანეს გერმანელი მოგზაურის მერცბახერის აქამდე კანონად მიღებულ შეხედულებებში. იგი ამტკიცებდა, რომ მთელ ტიან-შანში არის მხოლოდ და მხოლოდ ერთი „შვიდათასოვანი" — ხან-თენგრი.

1904 წლის ფოტოპანორამა. 1936 წელს აბალაკოვის დაკვირვებანი და ხან-თენგრის ფერდობების ფოტოსურათები. 1936 და 1937 წლების პარადი შთაბეჭდილებები. უზარმაზარი მწვერვალი, რომელიც გუტმანმა დაინახა იმ წელს, როცა კომკავშირის ოცი წლისთავის სახელობის მწვერვალზე ავიდა. ყველაფერი ეს აწონდაწონა პროფესორმა ლეტავეტმა და მივიდა იმ ურყევ დასკვნამდე, რომ მწვერვალი არსებობს! იგი არა თუ უტოლდება სიმაღლეში ხან-თენგრის, არამედ საკმაოდაც უფრო მაღალია „სულთა მბრძანებელზე" (ასე უწოდებენ მონღოლები ხან-თენგრის).

და მართლაც, ბოლოს მწვერვალი აღმოჩენილ იქნა. სად?.. ქალაქ ტაშკენტში, გოგოლის ქუჩაზე მდებარე № 72 სახლში. აქ ჩხარუნობდნენ საანგარიშო აპარატები, გაშლილი იყო მთების ქედების ფოტოპანორამების გრძელი ფურცლები და ციფრებით სავსე რვეულები. პ. რაპასოვის ექსპედიციის მონაწილე ტოპოგრაფები, რომლებიც ტიან-შანში იყვნენ, ამთავრებდნენ გამოანგარიშებას, ერთმანეთთან აკავშირებდნენ დიდი ხნის განმავლობაში წარმოებულ დაკვირვებებს. ეს დაკვირვებები კი წარმოებდა უღელტეხილებიდან, მწვერვალებიდან, ღრმა ხეობებიდან, თვითმფრინავებიდან, რომლებიც ადიოდნენ ტროპოსფეროს ზემო საზღვრამდე. ამ საქმეში მონაწილეობდნენ ტოპოგრაფები, გეოდეზისტები, საჰაერო გადაღების მფრინავები, მაღალმთიანი სპორტის ოსტატები.

და აქტში, რომელსაც ხელი მოაწერა შუა აზიის მაღალმთიანეთის გამოჩენილმა მცოდნემ, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორმა ნ. ლ. კორჟენევსკიმ, ჩაწერილი იყო სიმაღლე 7.439,3 მეტრი და ნათქვამი იყო რომ ახალი, აქამდე უცნობი „შვიდიათასეულის" აღმოჩენა „წარმოადგენს ჩვენი საბჭოთა მეცნიერების თვალსაჩინო მიღწევას".

სიმაღლის მხრივ ეს იყო ჩვენი დიადი სამშობლოს მეორე მწვერვალი. იგი თითქმის ნახევარი კილომეტრით (444 მეტრი) აღემატებოდა ხან-თენგრის და მხოლოდ 56 მეტრით ნაკლები იყო საბჭოთა კავშირის უმაღლეს წერტილზე — სტალინის მწვერვალზე. ახალაღმოჩენილ მწვერვალს „გამარჯვების მწვერვალი" უწოდეს.

სამი ქალაქის — მოსკოვის, ლენინგრადისა და ალმა-ატის მთასვლელებმა შეისწავლეს მწვერვალის მისადგომები და მიაღწიეს 5.700 მეტრ სიმაღლემდე. ამ წინასწარი დაზვერვის მონაცემებით ნათელი გახდა, რომ მწვერვალზე ასვლა დაკავშირებულია მთელ რიგ სიძნელეებთან.

უეჭველია, რომ საბჭოთა მთასვლელები უახლოეს ხანში „გამარჯვების მწვერვალის" აღებით ახალ ბრწყინვალე ფურცელს ჩაწერენ საბჭოთა ალპინიზმის სახელოვან ისტორიაში.

ნ. გიორგაძე

მსოფლიო პირველობა ფეხბურთში

მთელი მსოფლიოს სპორტის მოყვარულთა ყურადღების ცენტრშია მსოფლიოს პირველობის გათამაშება ფეხბურთში. ევროპის, აზიისა და ამერიკის ქვეყნების ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდები დაყოფილნი არიან 13 ჯგუფად. უკვე გაიმართა მთელი რიგი წინასწარი შეხვედრები (თამაშები სწარმოებს ორ წრედ). ჯგუფებში გამარჯვებული გუნდები ჰქმნიან ფინალს და 1954 წლის 16 ივნისიდან შვეიცარიაში დაიწყება გადამწყვეტი შეხვედრები.

მსოფლიო პირველობის გათამაშებაში მონაწილეობენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ნაკრები გუნდებიც. ერთ-ერთ ჯგუფში არიან ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი და ბულგარეთი. პირველი წრის შემდეგ წინ მიდის ჩეხოსლოვაკიის ნაკრები — 4 ქულა. რუმინეთს აქვს 2 ქულა, ბულგარეთს — 0. ამათგან, რომელი გუნდი მოხვდება ფინალში გამოირკვევა მეორე წრის დამთავრების შემდეგ.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა შეხვედრები მეორე ჯგუფში. აქ ლიდერობს ბელგიის გუნდი, რომელმაც მოუგო შეხვედრა შვეციას — 3:2 და ფინეთს — 4:2. ყველასათვის მოულოდნელი იყო პირველი ჯგუფის გუნდების — ნორვეგიისა და საარის შეხვედრის შედეგი. ნორვეგიის გუნდმა თავის მოედანზე დამარცხება განიცადა ანგარიშით 2:3. ოსლოში შედგა აგრეთვე ნორვეგიისა და გერმანიის გუნდების შეხვედრა. დაძაბულ ბრძოლას უპირატესობა არცერთი გუნდისათვის არ მიუცია. მატჩის შედეგია — 1:1. ბურთები გაიტანეს ნორვეგიის გუნდის მარჯვენა გარემარბმა ჰენიუმ და გერმანიის გუნდის მარცხენა შუამარბმა ვალტერმა.

ძლიერი გუნდებია თავმოყრილი მე-12 ჯგუფში, მასში შედიან ბრაზილია, ჩილი და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი პარაგვაი. მსოფლიო პირველობის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი — უნგრეთის ეროვნული ნაკრები.

დაიწყო შეხვედრები მე-11 ჯგუფში. მექსიკამ ანგარიშით 8:0 დაამარცხა ჰაიტის გუნდი. ძნელი გამარჯვება მოიპოვა იუგოსლავიის გუნდმა საბერძნეთზე — 1:0. (ეს ორი გუნდი ისრაელთან ერთად შეადგენენ მე-10 ჯგუფს).

მსოფლიო პირველობის უახლოესი თამაშების კალენდარი ასეთია: 8 ოქტომბერს ბრიუსელში ერთმანეთს შეხვდება ბელგია და შვეცია. 10 ოქტომბერს კარდიფში — უელსი და ინგლისი, 11 ოქტომბერს სოფიაში — ბულგარეთი და რუმინეთი. ამავე დღეს ივიორკში — აშშ — ჰაიტი, 18 ოქტომბერს ჰამბურგში — გერმანია და საარი, 25 ოქტომბერს ბუქარესტში — რუმინეთი და ჩეხოსლოვაკია; ამავე დღეს სკოპლეში — იუგოსლავია და ისრაელი, 28 ოქტომბერს დუბლინში — ირლანდია და ლიუქსემბურგი, ამავე დღეს ბრიუსელში — ბელგია და ფინეთი, 4 ნოემბერს გლაზგოში — შოტლანდია და უელსი, 8 ნოემბერს პრაღაში — ჩეხოსლოვაკია და ბულგარეთი, 11 ნოემბერს ლივერპულში — ინგლისი და ირლანდია.

რედაქტორი ი. უზულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო", ტელეფონები:
რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი" თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04397